

newsletter



Deutscher Akademischer Austauschdienst
გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახური

სარჩევი

- მისასალმებელი სიტყვა (გვ. 1)
- DAAD-ის ახალი სახეები
 - არევიკ ჰარუთინიანი DAAD-ის რეგიონული ოფისის ახალი თანამშრომელი (გვ. 2);
 - სევა კარაევა DAAD-ის რეგიონული ოფისის ახალი თანამშრომელი (გვ. 3);
 - ლარა მუმუჟერი პრაქტიკანტი მოხალისეთა პროგრამის „Kulturweit“ ფარგლებში (გვ. 4);
- პროექტი EU4Dialogue (გვ. 5)
 - ნატალია გვერდნითელი პროექტის მენეჯერი (გვ. 5-6)
 - გიორგი კანაშვილი პროექტის უფროსი მენეჯერი (გვ. 6)
- DAAD-ის ახალი სახეები
 - ანიკა ფრიზე DAAD-ის ლექტორი (გვ. 8);
 - ჟანინე ალოე გერმანული ენის ასისტენტი თსუ-ში (გვ. 9)
- სემინარების შესახებ (გვ. 7,10)
- მოკლე შეტყობინებები (გვ. 8-11)
 - ქართულ გერმანული წელიწადული, ტომი 1
 - ლევან ცაგარელი ჰუმბოლდტის სტიპენდიატია



DAAD - საქართველოს სამუშაო გუნდი

ბეირფასო მკითხველო,

საინფორმაციო ფურცლის საშუალებით მსურს, მოგიტხროთ DAAD-ის რეგიონული წარმომადგენლობის შესახებ, რომელმაც მიმდინარე წლის ივლისში დაიწყო მუშაობა და საქართველოსთან ერთად აზერბაიჯანი და სომხეთიც შეითავსა. დავიმატეთ ოთხი ახალი თანამშრომელი. გერმანიიდან ჩამოგვივიდა DAAD-ის ახალი ლექტორი, ანიკა ფრიზე. სასწავლო წლის დაწყებისთანავე ის ორ უმაღლეს სასწავლებელში - ილიას და ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეუდგა მუშაობას. საინფორმაციო ფურცელი ასევე მოგიტხრობთ DAAD-ის გერმანული ენის ასისტენტ, ჟანინე ალოესა და მოხალისეთა პროგრამის, Kulturweit-ის ფარგლებში, რეგიონულ ოფისში მომუშავე, ლარა მუმუჟერზე.

DAAD-ის რეგიონული წარმომადგენლობის საქმიანობას წელს ევროკავშირის პროექტი, „EU4Dialogue“ დაემატა. ეს უკანასკნელი მომავალი ოთხი წლის განმავლობაში კონფლიქტების ტრანსფორმაციაზე იმუშავებს სამხრეთ კავკასიასა და მოლდოვის რესპუბლიკაში. პროექტი ხორციელდება ევროპული ინსტიტუციების კონსორციუმის მიერ DAAD-ის თბილისის

რეგიონული წარმომადგენლობის ხელმძღვანელობით. საინფორმაციო ფურცელი ამ პროექტის შესახებაც მოგიტხრობთ.

DAAD-ის თბილისის რეგიონული წარმომადგენლობის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს სამეცნიერო კავშირების გაღრმავება სამხრეთ კავკასიასა და გერმანიას შორის, რაც უმაღლესი სასწავლებლების თანამშრომლობის გააქტიურებით მიიღწევა. რეგიონული თანამშრომლობა, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის უმაღლესი სასწავლებლების ინტერნაციონალიზაციას. DAAD უნივერსიტეტებს პარტნიორული პროგრამების მრავალფეროვან არჩევანს სთავაზობს. ამის ნათელი მაგალითია 3 759 ქართველი სტუდენტი თუ მეცნიერი, რომელთაც 2010-2020 წლებში ინსტიტუციური თანამშრომლობის ფარგლებში მიიღეს დაფინანსება.

იდეების შემთხვევაში სიამოვნებით დაგიტომობთ დროს !
გებჰარდ როილი



კონსულტაციის საათები:

ორშაბათი, ხუთშაბათი
14.00-18.00 სთ.
ოთხშაბათი: 10.00-14.00 სთ.

სატელეფონო

კონსულტაცია: ორშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი,
პარასკევი : 11:00 – 13:00 სთ.

DAAD საქართველო, გამოცემა 02 | 2021

არევიკ ჰარუთინიანი ახალი თანამშრომელი DAAD-ის რეგიონულ ოფისში

ჩემი სახელია არევიკ ჰარუთინიანი. დავიბადე გავარში/სომხეთი. პატარაობიდანვე დაინტერესებული ვიყავი უცხო ენებით. დღესდღეობით ოთხ უცხო ენას ვფლობ. ამჟამად ვსწავლობ გერმანულს და ქართულს.

2012 წელს ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბერძნული ენისა და ლიტერატურის მიმართულებით დავიწყე სწავლა. სტუდენტობის პერიოდში არაერთხელ მომეცა საშუალება, მონაწილეობა მიმეღო ოლიმპიადებში - მიღებული მაქვს სომხეთში საბერძნეთის საელჩოსა და საბერძნეთის მთავრობის პრიზები. გარდა ამისა, აქტიურად ვღებულობდი მონაწილეობას საბერძნეთის საელჩოს მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა ღონისძიებებში. სწავლის პერიოდში ვმუშაობდი თარჯიმნად და გიდობას ვუწევდი საბერძნეთიდან ჩამოსულ ტურისტებს.

2016 წელს ჩავაბარე გავარის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ინგლისური ენისა და ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამაზე. ერთი წლის შემდეგ, ERASMUS + პროგრამის ფარგლებში, სწავლა გავაგრძელე ბულგარეთის ქალაქ რუსეს, ანგელ კანჩევის სახელობის უნივერსიტეტში. ამავე პერიოდში გავიარე პრაქტიკა სკოლაში და ვასწავლიდი ინგლისურ ენას. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ წარჩინებით დავასრულე გავარის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურა და მუშაობა დავიწყე კერძო სექტორში. იმავდროულად ვასწავლიდი სკოლაში რუსულ ენას.

2021 წელს ჩამოვედი საქართველოში. მიხარია, რომ მუშაობა დავიწყე DAAD-ის



ფოტო პირადი არქივიდან

თბილისის რეგიონულ ოფისში.

ჩემი ჰობია ფიტნესი და ჯანსაღი ცხოვრების წესი. 2019 წლიდან მოყოლებული ვარ EREPS-European Register of Exercise Professionals მიერ სერტიფიცირებული ფიტნეს ტრენერი. ამ სფეროში დიდი გამოცდილება დავაგროვე და ბევრი ადამიანის დახმარებაც შევძელი. გარდა ამისა ძალიან მიყვარს ცხოველები - არა-ერთ არასამთავრობო ორგანიზაციას ვეხმარებოდი უსახლკარო ცხოველების მოვლაში.

სევა კარაევა
ახალი თანამშრომელი
DAAD-ის რეგიონულ ოფისში



ფოტო პირადი არქივიდან

მე, სევა კარაევა, დავიბადე თბილისში 1989 წელს. 2007-2011 წლებში ვსწავლობდი შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში ეკონომიკის ფაკულტეტზე.

სტუდენტური პერიოდიდან მოყოლებული აქტიურად ვარ ჩართული სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტში. ოთხი წლის განმავლობაში ვმუშაობდი თემებზე: თანასწორთა განათლება, ჯანსაღი ცხოვრების წესი, ვიყავი ტრენერი ორგანიზაცია „World Vision“-ში.

ბაკალავრიატის ბოლო კურსზე განაცხადი შევიტანე DAAD-ის სამაგისტრო სტიპენდიასზე და დაფინანსების მიღების შემდეგ სამაგისტრო კურსი გავიარე კასელის უნივერსიტეტში გლობალური პოლიტიკური ეკონომიკის მიმართულებით. გერმანიაში სწავლა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოცდილება იყო ჩემთვის. ახალი კულტურის გაცნობა, ენის შესწავლა, შეხვედრა ადამიანებთან და საინტერესო გარემო - ეს ყველაფერი გერმანიაში სწავლის პერიოდმა

მომცა. 2013 წელს მაგისტრატურაზე სწავლისას, საშუალება მომეცა, მემუშავა გაერთიანებული ერების ევროპულ კომისიაში ეკონომიკის მიმართულებით. მაგისტრატურის ბოლო კურსზე, კასელის უნივერსიტეტში, გახლდით დისციპლინის „გლობალიზაციის შესავალი“ ტუტორი.

2014 წელს დავბრუნდი საქართველოში და მუშაობა დავიწყე განათლების სფეროში. ხუთი წლის განმავლობაში დასაქმებული ვიყავი საქართველოს განათლების სამინისტროში ეთნიკურ უმცირესობათა პროფესიული განვითარების მენეჯერად. გარდა ამისა, ვმუშაობდი სხვადასხვა პროექტში, აზერბაიჯანულენოვანი მოსწავლეების პროფესიული განვითარებისა და ეთნიკური უმცირესობებით განსაკუთრებით მჭიდროდ დასახლებულ პუნქტებში სახელმწიფო ენის პოპულარიზაციის თემებზე. ჩემი ჰობია კითხვა, მოგზაურობა, საინტერესო ადამიანებთან ურთიერთობა.

განცხადება



ESB Business School at Reutlingen University

Study truly international in Germany

ESB Business School offers top-ranked undergraduate, graduate and executive programmes in business administration and business engineering (German and/or English), providing a strong network of partner companies and international partner universities all over the world.

www.esb-business-school.de/en/degree-programmes

DAAD საქართველო, გამოცემა 02 | 2021

ლარა მუმუჭვერი პრაქტიკანტი მოხალისეთა პროგრამის „Kulturweit“ ფარგლებში

გერმანიის ერთ-ერთ ყველაზე მრავალ-ეროვან ქალაქ ფრანკფურტში გაზრდილმა, ჯერ კიდევ სკოლის პერიოდში მოვინახულე ინდოეთი, ახალი ზელანდია, ინგლისი და რუსეთი. სკოლის დამთავრების შემდეგ კი, მოხალისეთა პროგრამის ფარგლებში, ერთი წელი სამარაში (რუსეთი), ვალდორფის საბავშვო ბაღში ვმუშაობდი. ამ ერთ წელიწადში გაცილებით ბევრი რამ ვისწავლე, ვიდრე უცხო ენა იყო - გავიცანი ადამიანები განსხვავებული ცხოვრებისეული ფილოსოფიითა და ყოველდღიურობით. გერმანიაში დაბრუნების შემდეგ ჩავაბარე კიოლნის უნივერსიტეტში, ზოგადი მედიცინის ფაკულტეტზე. ხუთი წლის განმავლობაში ვსწავლობდი ადამიანის ანატომიას, სხეულის ენას და სხვადასხვა დაავადებებს. უნივერსიტეტში დიდი ყურადღება ეთმობა ცოდნის რეპროდუქციას, უფრო ნაკლები კი კომპეტენციის გაღრმავებასა და ინტერდისციპლინარული აზროვნების უნარის ჩამოყალიბებას. პრაქტიკული საქმიანობა და კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, ძირითადად ადიციური მედიცინის მიმართულებით მივმართე.

საგანმანათლებლო საქმიანობა მუდმივადაა ჩემი ინტერესის სფერო, იქნება ეს სექსუალური განათლების შესახებ საუბარი სკოლის მოსწავლეებთან თუ სემინარების ჩატარება ყოფილი და ამჟამინდელი მოხალისეებისთვის. არანაკლებ მნიშვნელოვანია ჩემთვის ისეთი თემები, როგორცაა ინტერსექციური ფემინიზმი და ძალაუფლების გამოვლინების სხვა საზოგადო-

ებრივი გამოვლინებები. ზემოთთქმულიდან გამომდინარე, გამიჩნდა სურვილი მედიცინის ფაკულტეტის დასრულებას და ექიმის საქმიანობის დაწყებამდე, დიდი დროით ისევ საზღვარეთ წამოვსულიყავი და სხვა კულტურასთან ურთიერთობით თვითჩამოყალიბების პროცესში დავწინაურებულიყავი.

მიხარია, რომ DAAD-ის რეგიონულ ოფისში მოვხვდი, ამჯერად UNESCO-ს მოხალისეთა პროგრამის Kulturweit ფარგლებში.



ფოტო:

ფოტო პირადი არქივიდან

EU4Dialogue ურთიერთობების გაუმჯობესება განათლებისა და კულტურის გზით

მიმდინარე წელს ევროკავშირმა საფუძველი ჩაუყარა დიდი მოცულობის პროექტს, რომელიც სამხრეთ კავკასიასა და მოლდოვის რესპუბლიკაში გადაუჭრელი კონფლიქტების თემაზე მუშაობას ისახავს მიზნად. პროგრამის კომპონენტების განხორციელებაზე, რომელიც განათლებისა და კულტურის სფეროებს მოიცავს, პასუხისმგებელია კონსორციუმი DAAD-ის ხელმძღვანელობით. პროექტში წარმოდგენილი არიან ასევე პარტნიორი ორგანიზაციები: კამპუს ფრანსი, გოეთეს ინსტიტუტი, FRSE-ის განათლების განვითარების ფონდი (პოლონეთი), ლატვიის ეროვნული ბიბლიოთეკა, ბრიუსელის დიპლომატიური აკადემია და Smashing Times ხელოვნებისა და თანასწორობის საერთაშორისო ცენტრი. პროექტის ბიუჯეტი სამ მილიონს ევროს აღემატება. პროგრამა წელს დაიწყო და მომავალი ოთხი წლის განმავლობაში იმუშავებს.

პროგრამა EU4Dialogue მიზნად ისახავს გაცვლითი ურთიერთობების გააქტიურებას განათლებისა და კულტურის სფეროში გამყოფი ხაზების გასწვრივ. პროექტის ფარგლებში იგეგმება კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, გაცვლითი და დიალოგის ფორმატის ღონისძიებები უმაღლესი სასწავლებლების და სკოლის მასწავლებლებისთვის, ასევე სტუდენტებისა და მეცნიერებისთვის, კულტურის სფეროს წარმომადგენლებისთვის. ღონისძიებები მოიცავს აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, მთიანი ყარაბაღის და დნესტრისპირეთის რეგიონებს. დღის წესრიგში დგას ასევე სტუდენტური ჯგუფების მოგზაურობები, კვალიფიკაციის ასამაღლებელი სემინარები, უცხოელი პროფესორების ვიზიტები და პროექტები ხელოვნების სფეროში. ევროკავშირის გამოცდილების გათვალისწინებითა და მიზნობრივი ჯგუფების ევროკავშირის ექსპერტებთან

დაახლოებით, პროექტი ხელს შეუწყობს ევროკავშირთან ურთიერთობის გაღრმავებას. პროექტი EU4Dialogue ხორციელდება DAAD-ის რეგიონული ოფისის ხელმძღვანელობით. აქედან გამომდინარე, ჩვენს ოფისს ორი ახალი თანამშრომელი შეემატა. წარმოგიდგენთ ორივე მათგანს.



ნატალია გვერდწითელი პროგრამა EU4Dialogue

მე ვარ ნატალია გვერდწითელი. გერმანულ ენასთან ჩემი პირველი შეხება ჯერ კიდევ პირველი კლასიდან იწყება - დავამთავრე 21-ე საჯარო სკოლა (მე-6 გერმანული გიმნაზია). მე-10 კლასში, სკოლის გაცვლითი პროგრამით, პირველად აღმოვჩნდი გერმანიაში - შონდორფის სკოლა-ინტერნატში, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა ჩემზე და სამუდამოდ შემაყვარა გერმანია, გერმანული ხალხი და ყველაფერი გერმანული.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ, მუშაობა დავიწყე შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდში. კოორდინაციას ვუწევდი შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და DAAD-ის ერთობლივ კვლევით

პროგრამას. გარდა ამისა, ვკურირებდი ფოლქსვაგენის ფონდის სადოქტორო პროგრამას და სხვა ადგილობრივ კონკურსებს (მაგ.: კონკურსი გამოყენებითი კვლევებისთვის).

რუსთაველის ფონდში მუშაობისას აქტიურად ჩავერთე საერთაშორისო პროექტებში. ვმონაწილეობდი ევროკომისიის მიერ წარმოდგენილი ჩარჩო პროგრამის - „ჰორიზონტი 2020“-ის ფარგლებში გამოცხადებული კონკურსის „EURAXESS Georgia“ საპროექტო წინადადების შემუშავებაში. შემდეგ იყო საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, სადაც, წინასწარ შერჩეულ გუნდთან ერთად, ვმუშაობდი ასევე „ჰორიზონტი 2020“-ის ფარგლებში გამოცხადებული „ევროპელ მკვლევართა დამის“ კონკურსის განაცხადზე. ორივე პროექტმა დაფინანსება მოიპოვა და წარმატებით განხორციელდა.

ამჟამად ვმუშაობ „DAAD“-ის თბილისის რეგიონულ ოფისში, პროგრამის EU4Dialogue პროექტის მენეჯერად. მიმაჩნია, რომ ძალიან გამიმართლა, რადგან მოვხვდი შესანიშნავ გარემოში და გავხდი არაჩვეულებრივი გუნდის წევრი.



ფოტო პირადი არქივიდან

გიორგი კანაშვილი პროგრამა EU4Dialogue

კონფლიქტებმა საქართველოში და მთლიანად კავკასიის რეგიონში ბევრი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ათასობით ოჯახის ბედი შეცვალა და დღემდე მნიშვნელოვნად აფერხებს რეგიონის მშვიდ განვითარებას. მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტი პირდაპირი გზით არ შემხებია, ეს უკანასკნელი, როგორც მოვლენა - ანუ კონფლიქტი და მისი გენეზისი, ყოველთვის მაინტერესებდა. 2006 წელს, ჯერ კიდევ სრულიად გამოუცდელი, აფხაზეთში საზაფხულო სკოლაში მოვხვდი (რაც კონფლიქტის გამო, თითქმის შეუძლებელი ამბავი იყო); მას შემდეგ ომისა და მშვიდობისადმი ჩემი ინტერესი გაათმაგდა და მან ჩემი შემდგომი ცხოვრების ტრაექტორიაც განსაზღვრა.



ფოტო პირადი არქივიდან

ამ ინტერესიდან გამომდინარე, მალევე დავიწყე მუშაობა „კავკასიურ სახლში“. ორგანიზაციაში, რომელიც კავკასიელ ხალხთა მშვიდობიან თანაცხოვრებას, კულტურულ და საგანმანათლებლო საქმიანობას უწყობდა ხელს. აქ უაღრესად საინტერესო წლები გავატარე - გამოცემდით წიგნებს, ვაწარმოებდით კვლევებს, ვაწყობდით

შეხვედრებს: ქართველებსა და აფხაზებს, ქართველებსა და ოსებს, სომხებსა და აზერ-ბაიჯანელებს შორის, ჩამოგვყავდა ჩრდილოეთ კავკასიელები, რუსები, უკრაინელები.

გამოცდილებისა და ცოდნის მატებასთან ერთად, ჩავერთე საუნივერსიტეტო ცხოვრებაშიც - დავიწყე ლექციების წაკითხვა. მე თვითონ განათლება საქართველოსა და დიდ ბრიტანეთში მივიღე (ჩივინგის სტიპენდიის მეშვეობით), საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით. პერიოდულად ვწერ სტატიებს, კვლევით დოკუმენტებს, ვმონაწილეობ კონფერენციებსა და სემინარებში.

სამწუხაროდ, ახალგაზრდებს ხარისხიან განათლებაზე თანაბრად არ მიუწვდებათ ხელი, დიდია უთანასწორობა ცალკეულ ქვეყნებსა და რეგიონებს შორის. განსაკუთრებით მძიმეა სურათი კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში. იმედია, ჩვენი პროექტის განხორციელებით, კონფლიქტურ რეგიონებში, განათლების კუთხით, მგომარეობა უკეთესობისკენ შეიცვლება. DAAD-ში ჩემი მოსვლის მიზანიც სწორედ ეს იყო;

ვორქშოპი „მზე, ქარი და წყალი - ექსპურსია ელექტროენერჯის თემაზე“

განახლებადი ენერჯის თემა უაღრესად აქტუალურია როგორც გერმანიაში, ისე საქართველოში. გერმანული ენის თვის ფარგლებში, 16 და 17 ოქტომბერს თექვსმეტ სტუდენტსა და მოსწავლეს საშუალება მიეცა, ამ თემაზე გამართულ ვორქშოპში მიეღო მონაწილეობა. ეს უკანასკნელი საქართველოს გოეთეს ინსტიტუტისა და DAAD-ის ქუთაისის ლექტორატის ინიციატივით ჩატარდა. შესავალი ნაწილის შემდეგ, მონაწილეებმა ჩაატარეს ექსპერიმენტები მზის და ქარის ენერჯების, ჰესების თემაზე - ამის საშუალება მათ გოეთეს ინსტიტუტის მიერ მომზადებულმა „ექსპერიმენტების ყუთმა“ მისცა. ვორქშოპის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო შაბათის ექსპურსია ძვერულას ჰიდროელექტროსადგურზე, სადაც მონაწილეებს სადგურის სრულად დათვალიერების საშუალება მიეცათ. კვირას ვორქშოპის მონაწილეებმა ოთხი პრეზენტაცია გამართეს ელექტროენერჯის თემაზე საქართველოსა და გერმანიაში. მოხსენებებს ესწრებოდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩის მოადგილე საქართველოში, ქ-ნი ტანია ჰუთი.

ფოტო: გოეთეს ინსტიტუტი საქართველოში



Bewerbungsfristen für DAAD-Stipendienprogramme 2022/23

Forschungsstipendien:

Kurzstipendien

Jahresstipendien

Promotion im Ausland

Forschungsaufenthalte

15.11.2021



ანიკა ფრიზე DAAD-ის ახალი ლექტორი



ფოტო: ლუის ბათალა

1982 წელს, ბერლინში დაიბადა და ცხოვრების უდიდესი ნაწილი ამ ქალაქში გაატარა. ჯერ კიდევ სწავლის პერიოდში, 2005-2006 წლებში, როდესაც გერმანულ ენასა და ისტორიას, ასევე გერმანულს როგორც უცხო ენას ვსწავლობდი, ერაზმუსის სტიპენდიის ფარგლებში ერთი სემესტრი ლისაბონში დავყავი. მას შემდეგ, შესაძლებლობა მომეცა, გერმანული როგორც უცხო ენის სპეციალისტს, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მეცხოვრა და მემუშავა - მაგალითად ხორვატიასა და ბრაზილიაში.

2014 – 2019 წლებში გახლდით DAAD-ის ლექტორი ბელგრადში / სერბეთი. ბოლოს კი ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტში ვასწავლიდი სამაგისტრო პროგრამაზე „გერმანული როგორც უცხო ენა: კულტურათა დიალოგი“. 2021 წლის სექტემბრიდან ვარ DAAD-ის ლექტორი თბილისში, კერძოდ კი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში. გერმანული როგორც უცხო ენის ფარგლებში

მაინტერებს ყველაფერი, განსაკუთრებით კი კულტურული თავისებურებებით გაფორმებული სწავლის პროცესი და მხარეთმცოდნეობითი დისკურსი, გარდა ამისა ბევრჯერ და სიამოვნებით მიმუშავია სტუდენტებთან თეატრალურ მასალაზე. ჩემს საყვარელ საქმიანობას წარმოადგენს მოგზაურობა და კვლინარია (ცხოზა) ჩემს ოჯახთან ერთად.

DAAD-ის ალუმნი, ლევან ცაგარელი, ჰუმბოლდტის სტიპენდიანტი

ლევან ცაგარელი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი და DAAD-ის ყოფილი სტიპენდიანტი, ჰუმბოლდტის ფონდის დაფინანსების, კერძოდ კი [გეორგ ფორსტერის კვლევითი სტიპენდიის](#) მფლობელია.

მომავალი სამი წლის განმავლობაში პროფ. ცაგარელი ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის პროფ. მარკ-გეორგ დერმანთან ერთად იმუშავებს თემაზე „ტრავმა და მეხსიერება გერმანულსა და ქართულ პოსტკომუნისტურ ლიტერატურაში“. კვლევის მიზანია, პოსტ-საბჭოთა ეპოქის გერმანული და ქართული ნარატიული ტექსტების შედარებითი ანალიზის საფუძველზე, წარმოაჩინოს უპირატესად ტრავმულად აღქმული წარსულის ლიტერატურული რეპრეზენტაციის ტრანსკულტურული მსგავსებები და ინტერკულტურული თავისებურებები.

ვულოცავთ ლევანს ამ დიდ წარმატებას და საინტერესო კვლევის პროცესს ვუსურვებთ მას !

ქანინე ალოე გერმანული ენის ასისტენტი თსუ-ში

ადამიანები, ხშირად, მოკლე დროში მიეჯაჭვებიან ხოლმე ერთ ადგილს - ეს დამოკიდებულება ჩემთვის უცხოა. ხშირად მივდია ერთ ადგილას დამკვიდრება, მაგრამ არაფერი გამომივიდა - ჩემი ფესვები იმდენად ზედაპირული აღმოჩნდა, რომ ერთი ქარის დაბერვა და ისინი მიწას შორდებოდნენ...

ოლგა ტოკარჩუკის ეს სიტყვები ჩემს სათქმელს გამოხატავს. ერთ ადგილს არასოდეს ვეჯაჭვები, თუმცა სადაც არ უნდა ვიყო, სამყარო მალე ხდება ჩემი სახლი. ყველაზე მნიშვნელოვანი გამოცდილებები ჩემს ცხოვრებაში საზღვარგარეთს უკავშირდება, კერძოდ, ერთწლიან სასწავლო ვიზიტს ამერიკის უმაღლეს სკოლაში, შემდეგ კი AU Pair-ის პროგრამას ირლანდიის ქალაქ კორკში. ამით დაიწყო ჩემი მობილობა და ამ სახით აღმოვჩნდი ავსტრალიასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, შემდეგ კი მიუნსტერის უნივერსიტეტში, სადაც მასწავლებლის პროფესიას დავუფლავე.

სწავლის პროცესში შესაძლებლობა მომეცა, ერთი სემესტრი გამეტარებინა ინდოეთის მუმბაის უნივერსიტეტში, სამაგისტრო პროგრამის გავლისას კი მესარგებლა ერაზმუსის გაცვლითი პროგრამით და მესწავლა ტარტუს უნივერსიტეტში/ესტონეთი.

სწავლის პროცესში ძირითადი ყურადღება დავუთმე გერმანისტიკასა და ანგლისტიკას. საბოლოოდ კი, ძირითად სპეციალობად გერმანული როგორც უცხო ენა ავირჩიე. ამიტომ სამაგისტრო კურსთან ერთად გავიარე სერტიფიცირების კურსი გერმანული როგორც მეორე უცხო ენის მიმართულებით. მიხარია, რომ თეორიული ცოდნის დაგროვების შემდეგ გერმანული ენის გაკვეთილზე პრაქტიკული საქმიანობითაც დავკავდები.

ტოკარჩუკს რომ დავუბრუნდეთ ... ჩემი ენერჯია მოძრაობისას იშრიტება-ლამაზი ბუნების აღქმის, ადამიანებთან ურთიერთობისა და ზოგადად, სხვა კულტურასა და მენტალობასთან შეხებისა და ურთიერთობისას. მეც მოლოდინით ვარ აღსავსე. სულმოუთქმელად ველი „ევროპის ლოჟის“ სახელით ცნობილი საქართველოს გაცნობას, თავისი მთაგორიანი კულისებით, ქართული კულტურისთვის დამახასიათებელი მრავალფეროვნებით - სუფრა, წუთისოფელი, ხალხური ცეკვა, პოლიფონიური სიმღერა და სხვა.



ფოტო: ქრისტოფერ ალოე


თანამშრომლობა ბაქოს უცხო ენებისა და აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტებს შორის

2020 წლის ზამთრის სემესტრიდან მოყოლებული ბაქოს უცხო ენების და აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერმანისტები სისტემატურად ხვდებიან ერთმანეთს ონლაინ ფორმატში. შეხვედრები DAAD-ის ლექტორების, მარა-ლიზა გეზერის (ბაქო) და მაქსი ბორნმანის (ქუთაისი) მიერ იქნა ორგანიზებული. ერთ-ერთი ესეთი შეხვედრა, რომელსაც OaAD-ს ლექტორი ნოემი ტანცვოზი და ბაქოს ევანგელური ეკლესიის მოძღვარი, ბ-ნი ლემკე უძღვებოდნენ, მიემდვნა დღესასწაულებს და უქმე დღეებს გერმანიას, ავსტრიას, საქართველოსა და აზერბაიჯანში (ნავრუზ ბაირამი, ქრისტიანული აღდგომის დღესასწაული, აღდგომა და ამალეზა გერმანიასა და ავსტრიაში).

უარღესად საინტერესო გახლდათ ვიურცბურგის უნივერსიტეტის პროფესორის, ქ-ნი ჰარტმანის მოხსენება შუა

საუკუნების მინეზანგის შესახებ. ქ-ნი ჰარტმანი ბაქოს უცხო ენების უნივერსიტეტში გერმანისტის მიმართულებას ხელმძღვანელობს და ამავე უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის ტიტულსაც ატარებს.

თანამშრომლობის ფარგლებში შემდგარი შეხვედრებიდან დასამახსოვრებელი გახლდათ DAAD-ის ლექტორის, ანია ლანგეს მიერ მოდერირებული ონლაინ კურსი „სამეცნიერო წერა და მუშაობა-ვორქშოპი მასწავლებლებისთვის“. სემინარი დაფინანსდა DAAD-ის მიერ და გამოზნული იყო ბაქოსა და ქუთაისის უნივერსიტეტების დოცენტებისთვის. ხსენებულ სემინარს გაგრძელებაც ექნება, რაც ერთობლივი კონფერენციით ან საერთო პუბლიკაციით გამოიხატება. ეს, თავის მხრივ, კიდევ უფრო მჭიდროს გახდის თანამშრომლობას უნივერსიტეტებს შორის.



გერმანულ-ქართული წელიწდეული

ილიას სახელმწიფო და მიუნსტერის უნივერსიტეტების თანამშრომლობით, გერმანიაში გერმანულ-ქართული წელიწდეულების პირველი ტომი გამოიცა.

კრებული შეიქმნა ქართველი და გერმანელი მეცნიერების თანამშრომლობით, ფოლქსვაგენის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „Carl Friedrich Lehmann-Haupt International Doctoral School „Democracy, Human Rights and Religion“ ფარგლებში. ეს უკანასკნელი მოიცავს ქართველი და გერმანელი ავტორების სტატიებს, რომლებიც საზოგადოებრივ გამოწვევებს ეხება დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და რელიგიის ჭრილში.

თამარ ცოფურაშვილისა და თომას გუთმანის რედაქტორობით გამოცემული კრებული ტრანსკულტურული თანამშრომლობის შედეგია, რომელსაც გაგრძელება აუცილებლად ექნება.



Bewerbungsfrist für das DAAD-Stipendienprogramm
„Hochschulsummerkurse in Deutschland für ausländische
Studierende und Graduierte“ 2022/23

01.12.2021

Dieser Newsletter wird bereitgestellt von:

DAAD-Georgien / Außenstelle Tiflis
T. Chovelidze Str. 4, 0108 Tbilisi.
Rechtlich vertreten durch Dr. Kai Sicks, Deutscher Akademischer Austauschdienst
e.V., Kennedyallee 50, D-53175 Bonn

Tel: (+995) 322 920 926
info@daad-georgia.org
www.daad-georgia.org



Vereinsitz:
Bonn (Deutschland), eingetragen beim Amtsgericht Bonn, Registergericht VR 2105

Redaktion:
Gebhard Reul (verantwortlich)
Dr. Nino Antadze, Lara Mümpfer

Oktober 2021

Haftungshinweis:

Wir übernehmen keine Haftung für die Inhalte Dritter. Für den Inhalt verlinkter Seiten sind ausschließlich deren Betreiber zuständig. Copyright © by DAAD e.V. Der Inhalt dieses Newsletters ist urheberrechtlich geschützt. Alle Rechte vorbehalten. Die Verwendung des Textes - auch auszugsweise - und der Bilder ohne vorheriges schriftliches Einverständnis des DAAD ist nicht gestattet.

Abmeldung:

Wenn Sie den Newsletter nicht mehr empfangen möchten, senden Sie bitte eine E-Mail an info@daad-georgia.org